ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1861026

ნომერი: AR1302378

თარიღი : 17.04.2015

გაცემის თარიღი : 01.05.2015

გაცნობის თარიღი : 28.05.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თბილისის ზღვა, (ნაკვეთი 1/175); ქალაქი თბილისი , თბილისის ზღვა, (ნაკვეთი 1/175); ქალაქი თბილისი , თბილისის ზღვა, (ნაკვეთი 1/175);

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლავრენტი ბუკია პ/ნ 01030007241
- თბილისი კრწანისის ქ. N 3 კორ. 2 ბ. 27

ორგანიზაცია:
- შპს თბილისის ზღვა-რეზორთი და სპა კოდი: 400128170

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 11 ივლისის №1381813 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 17.04.2015წ. AR1302378 განაცხადით მომართეს შპს „თბილისის ზღვა - რეზორთი და სპა“-ს დირექტორმა ლავრენტი ბუკიამ და შპს "ენჯი და კომპანია"-ს წარმომადგენელმა ზაზა ოხანაშვილს (მინდობილობა-სანოტარო მოქმედების N150393250) მოითხოვა ამავე სამსახურის 2014 წლის 11 ივლისის №1381813 ბრძანებაში, დამკვეთის ინფორმაციაში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 11 ივლისის №1381813 ბრძანებით, ქ. თბილისში, თბილისის ზღვა, (ნაკვეთი 1/175), შპს "თბილისი სეა დეველოპმენტ "Tbilisi Sea Development"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი: N01.12.21.001.201; 01.12.21.001.200; 01.12.21.001.179) შეთანხმდა არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის (სასტუმრო, რესტორანი, კაფე, გამაჯანსაღებელი ცენტრი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 11 ივლისიდან 2015 წლის 11 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დამკვეთად დაფიქსირდა შპს." თბილისი სეა დეველოპმენტ". მოგვიანებით, სამსახურის 10/11/2014 წ. №1557026 ბრძანებით ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის11.07.2014წ. #1381813 ბრძანებაში და დამკვეთად ნაცვლად, შპს „თბილისი სეა დეველოპმენტ Tbilisi Sea Development"-სა, დაფიქსირდა შპს „თბილისის ზღვა - რეზორთი და სპა“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 400128170).

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამშენებლო მიწის ნაკვეთების მესაკუთრეს აღარ წარმოადგენს შპს „თბილისის ზღვა - რეზორთი და სპა“. შესაბამისად, დღესდღეობით განმცხადებლის მოთხოვნას წარმოადგენს 2014 წლის 11 ივლისის №1381813 ბრძანებაში ცვლილების შეტანა და დამკვეთად ახალი მესაკუთრის, შპს "ენჯი და კომპანია"-ს დაფიქსირება.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 20-ე მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, საჯარო რეესტრის ამონაწერების თანახმად (განცხადების რეგისტრაციის N882015206992; N882015197264; N882015197293) ქ. თბილისში, სექტორი –თბილისის ზღვა მიწის ნაკვეთებზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი: N01.12.21.001.201; 01.12.21.001.200; 01.12.21.001.179) მესაკუთრედ ფიქსირდება შპს "ენჯი და კომპანია" (400142573), სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და 2014 წლის 11 ივლისის №1381813 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 11 ივლისის №1381813 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს: შპს "ენჯი და კომპანია" (400142573), ბრძანება სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 11 ივლისის №1381813 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავითაღმაშენებლოს ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6), ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.